მოსკოვის სასულიერო აკადემიამ მიღება გამოაცხადა თეოლოგიის ინგლისურენოვან ონლაინ კურსზე

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 25.08.2026. მოსკოვის სასულიერო აკადემია (MDA) იღებს განცხადებს ინგლისურ ენაზე **დისტანციური სწავლების თეოლოგიურ პროგრამაზე** მომავალი 2026/2027 აკადემიური წლისთვის.

პროგრამა გათვლილია ერთ სასწავლო წელზე (ცხრა თვე). მსმენელები, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ პროგრამას და გაივლიან ატესტაციას, მიიღებენ სტანდარტულ სერტიფიკატს კურსის დასრულებისა და MDA-ს გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შესახებ.

სასწავლო პროგრამაში შედის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სტანდარტის თერთმეტი

საბაზო დისციპლინა. სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საგნებს: ძველი აღთქმის წმინდა წერილი, ახალი აღთქმის წმინდა წერილი, ფუნდამენტური ღვთისმეტყველება, დოგმატური ღვთისმეტყველება, შედარებითი ღვთისმეტყველება, ზნეობრივი ღვთისმეტყველება, პატროლოგია, ლიტურგია, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია და რელიგიების ისტორია.

სწავლება ორიენტირებულია იმ სასულიერო დასისა და აქტიური მრევლისთვის, ვინც მსახურებას ასრულებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვარგარეთის სამრევლოებში და უკვე აქვთ საერო უმაღლესი განათლება. **МДА-ს პრეს=სამსახურის** ცნობით, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ასევე მოწვეულნი არიან უცხოელი სტუდენტები და ყველა მსურველი, ვინც დაინტერესებულია მართლმადიდებლური სარწმუნოების და ეკლესიური ტრადიციების დეტალური და ღრმა შესწავლით.

სასწავლო პროცესი მთლიანად დისტანციურ ფორმატში მიმდინარეობს და შეიცავს მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლების სალექციო გაკვეთილებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა დისციპლინის დამოუკიდებელი შესწავლისათვის.

საბუთების მიღება და განცხადებების რეგისტრაცია გაგრძელდება 2026 წლის 21 სექტემბრამდე (მოსკოვის დროით დილის 9:00 საათამდე)

კურსის ოფიციალური ვებ-გვერდი: ***encourse.mpda.ru****.*

ცნობებისთვის ელექტრონული ფოსტის მისამართი: ***encourse@mpda.ru****.*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/94508/